შ.პ.ს. “ ბალავერი ”

ვამტკიცებ, შპს “ბალავერი“-ს

დირექტორი მ.გეგია



საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი, ბოძიაშვილის შესახვევი №6 ბ –ს მიმდებარედ, (ს/კ 01.10.10.020.153), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო დოკუმენტის დარღვევით ნაწარმოები მშენებლობის შესახებ.

.

თბილისი 2020 წ

დავალების თანახმად, საჭიროა შედგეს საექსპერტო დასკვნა, ქ. თბილისი, გოძიაშვილის შესახვევი №6 ბ –ს მიმდებარედ, (ს/კ 01.10.10.020.153), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო დოკუმენტის დარღვევით ნაწარმოები მშენებლობის შესახებ.

გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ უ ლ ი მ ა ს ა ლ ე ბ ი:

1. ქ. თბილისში, გოძიაშვილის შესახვევი №6 ბ –ს მიმდებარედ, (ს/კ 01.10.10.020.153), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის არქიტექტურული ნაწილი;
2. ქ. თბილისში, გოძიაშვილის შესახვევი №6 ბ –ს მიმდებარედ, (ს/კ 01.10.10.020.153), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილი;
3. ქ. თბილისში, გოძიაშვილის შესახვევი №6 ბ –ს მიმდებარედ, (ს/კ 01.10.10.020.153), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური პირობები.
4. ქ. თბილისში, გოძიაშვილის შესახვევი №6 ბ –ს მიმდებარედ, (ს/კ 01.10.10.020.153), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კომპიუტერული გაანგარიშების შედეგები;

მოცემული პროექტის კონსტრუქციული ნაწილი შესრულებულია შესაბამისი არქიტექტურული პროექტის და საქართველოში მოქმედი სათანადო ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე (კონსტრუქტორი თ. გეგეჭკორი).

ნაგებობა გაანგარიშებულია დატვირთვების შემდეგ ზემოქმდებაზე:

სამშენებლო მოედნის სეისმიურობა - 8 ბალი;

ქარის ნორმატიული დატვირთვა - 85 კგ/მ2;

თოვლის ნორმატიული დატვირთვა - 50 კგ/მ2.

შენობის მზიდი სივრცითი კონსტრუქციული სისტემა და ფუძე-საძირკვლები გაანგარიშებულია "LIRA-SAPR 2013" საანგარიშო კომპლექსის გამოყენებით და გაანგარიშებულია სპექტრული მეთოდით.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით დასაპროექტებელი შენობა ცვალებადსართულიანია და შედგება 8 – 9 სართულისაგან. იგი გეგმაში რთული მოხაზულობისაა, ღერძებში მაქსიმალური ზომებით 31.80 X 12.70 მ. Iგი განთავსებულია სწორ რელიეფზე.

საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევების მიხედვით, სამშენებლო ტერიტორია იმყოფება დამაკმაყოფილებელ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებში.

უბნის გეოლოგიური აგებულებიდან და დასაპროექტებელი შენობის ტექნიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე, შენობის საძირკველს წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის ერთიანი ფილა.

შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში, მონოლითური რკინაბეტონის სვეტები, რიგელები, დიაფრაგმები და გადახურვის ფილები ხისტადაა დაკავშირებული ერთმანეთთან, ამით იქმნება ერთიანი ხისტი დიაფრაგმა, რაც მნიშვნელოვანია სეისმიური დატვირთვების მისაღებად.

შენობას ორივე მიმართულებით გააჩნია მონოლითური რკინაბეტონის დიაფრაგმები სისქით 25 და 30სმ, ბეტონის კლასი - B25.

სვეტები მონოლითური რკინაბეტონის, განივი კვეთებით 50X50სმ. ბეტონი კუმშვაზე სიმტკიცის მიხედვით კლასით B25.

რიგელები მონოლითური რკინაბეტონის განივი კვეთით 40X50(h). რიგელებში ბეტონი კუმშვაზე სიმტკიცის მიხედვით კლასით B25.

სართულშუა გადახურვები მონოლითური რკინაბეტონის სისქით 18სმ, ბეტონის კლასი - B25.

კიბეები მონოლითური რკინაბეტონის, სისქით 18სმ, ბეტონი კუმშვაზე სიმტკიცის მიხედვით კლასით B25.

მშენებლობის პროცესში მშენებლობა წარიმართა სამშენებლო დოკუმენტის დარღვევით, კერძოდ:

1. I და II სართულების სიმაღლე ნაცვლად 3.2 მეტრისა გახდა 3.3 მ.
2. 8 სართულზე (ნიშნული 22.60) "3-6" ღერძებში სართულის სიმაღლე 3,2 მ-დან შემცირდა 3,0 მეტრამდე
3. 9 სართულზე (ნიშნული 25.60) "3-6" ღერძებში დაემატა სართული სიმაღლით 3,1 მ.
4. 9 სართულზე (ნიშნული 25.60) "5-6" ღერძებს შორის მოეწყო გადახურვა და დაემატა კოლონა
5. 9 სართულზე (ნიშნული 25.60) დაემატა "5' " ღერძზე 30X30 სმ განივი კვეთის კოლონა და "4" ღერძის კოლონები გახდა 30X30 სმ.

ზემოთაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით მოხდა პროექტის კორექტირება, და მშენებლობის პროცესში სამშენებლო დოკუმენტის დარღვევით ნაწარმოები მშენებლობა არ იქონიებს უარყოფით ზემოქმედებას შენობის ტექნიკურ მდგომარეობაზე

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისი, გოძიაშვილის შესახვევი №6 ბ –ს მიმდებარედ, (ს/კ 01.10.10.020.153), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით, პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს ეძლევა დადებითი შეფასება და მშენებლობის პროცესში სამშენებლო დოკუმენტის დარღვევით ნაწარმოები მშენებლობა არ იქონიებს უარყოფით ზემოქმედებას შენობის ტექნიკურ მდგომარეობაზე.

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი ლ. ზამბახიძე
T: 551-24-30-18

ელფოსტა: Lerizam@mail.ru

21.01. 2020 წ